

ვასაძის პური
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

31 დეკემბერი 2024 წელი

შპს „ვასაძის პური“

შინაარსი

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	3-6
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11-30
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	31-37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვასაძის პური“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ვასაძის პური“-ს (შემდგომში - ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს „ვასაძის პური“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად კონსოლიდირებული

მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი

22 ოქტომბერი, 2025 წ

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი

22 ოქტომბერი, 2025 წ



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენ.	31.12.2024	31.12.2023 გადაანგარიშებული	01.01.2023 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	19,766,298	14,218,271	8,751,224
არამატერიალური აქტივები		2,356	2,356	3,270
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,768,654	14,220,627	8,754,494
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	648,444	1,008,997	287,509
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	9,039,919	7,678,741	6,529,212
მარაგები	7	1,978,479	1,536,869	1,443,961
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,666,842	10,224,607	8,260,682
მთლიანი აქტივები		31,435,496	24,445,234	17,015,176
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	8	7,264,747	6,643,270	5,495,951
სულ კაპიტალი		7,264,947	6,643,470	5,496,151
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	17,031,956	11,873,554	8,753,341
ანარიცხები		42,795	29,154	23,762
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,074,751	11,902,708	8,777,103
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	2,490,291	3,469,998	1,168,899
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	3,941,959	1,957,775	1,170,342
საგადასახადო ვალდებულებები	11	663,548	471,283	402,681
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,095,798	5,899,056	2,741,922
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		31,435,496	24,445,234	17,015,176

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მერაბი ვასაძე

ეკატერინე ცენტერაძე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-30 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

	შენ.	31.12.2024	31.12.2023 გადაანგარიშებული	01.01.2023 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	19,766,298	14,218,271	8,751,224
არამატერიალური აქტივები		2,356	2,356	3,270
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,768,654	14,220,627	8,754,494
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	648,444	1,008,997	287,509
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	9,039,919	7,678,741	6,529,212
მარაგები	7	1,978,479	1,536,869	1,443,961
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,666,842	10,224,607	8,260,682
მოთიანი აქტივები		31,435,496	24,445,234	17,015,176
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	8	7,264,747	6,643,270	5,495,951
სულ კაპიტალი		7,264,947	6,643,470	5,496,151
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	17,031,956	11,873,554	8,753,341
ანარიცხები		42,795	29,154	23,762
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,074,751	11,902,708	8,777,103
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	2,490,291	3,469,998	1,168,899
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	3,941,959	1,957,775	1,170,342
საგადასახადო ვალდებულებები	11	663,548	471,283	402,681
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,095,798	5,899,056	2,741,922
მოთიანი კაპიტალი და ვალდებულებები		31,435,496	24,445,234	17,015,176

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს:

დირექტორი

მერაბი ვასაძე

მთავარი ბუღალტერი

ეკატერინე ცენტრაძე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-30 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ვასაძის კური“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
ამონაგები	12	38,151,660	33,741,126
თვითღირებულება	13	(18,785,882)	(17,141,263)
საერთო მოგება		19,365,778	16,599,863
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(13,011,036)	(10,037,584)
მიწოდების დანახარჯები	15	(4,277,033)	(3,371,750)
საოპერაციო მოგება		2,077,709	3,190,529
ფინანსური შემოსავალი		44,812	82,444
ფინანსური ხარჯი	16	(1,562,494)	(1,069,407)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(59,850)	(208,171)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		91,743	75,005
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	17	314,386	(415,320)
მოგება დაბეგვრამდე		906,306	1,655,080
მოგების გადასახადი ხარჯი		(40,588)	(76,161)
წმინდა მოგება		865,718	1,578,919
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		865,718	1,578,919

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მერაბი ვასაძე

ეკატერინე ცენტერაძე

კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-30 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ვასაძის პური“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
ამონაგები	12	38,151,660	33,741,126
თვითღირებულება	13	(18,785,882)	(17,141,263)
საერთო მოგება		19,365,778	16,599,863
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(13,011,036)	(10,037,584)
მიწოდების დანახარჯები	15	(4,277,033)	(3,371,750)
საოპერაციო მოგება		2,077,709	3,190,529
ფინანსური შემოსავალი		44,812	82,444
ფინანსური ხარჯი	16	(1,562,494)	(1,069,407)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(59,850)	(208,171)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		91,743	75,005
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	17	314,386	(415,320)
მოგება დაბეგვრამდე		906,306	1,655,080
მოგების გადასახადი ხარჯი		(40,588)	(76,161)
წმინდა მოგება		865,718	1,578,919
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		865,718	1,578,919

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს:

დირექტორი
მერაბი ვასაძე

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცენტერაძე

კონსოლიდირებული საქმედების შედეგების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-30 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ვასაძის პური“
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენ.	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)		200	5,495,951	5,496,151
წლის მოგება		-	1,578,919	1,578,919
მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,578,919	1,578,919
გაცემული დივიდენდი	8		(431,600)	(431,600)
ოპერაციები მფლობელებთან		-	(431,600)	(431,600)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)		200	6,643,270	6,643,470
წლის მოგება			865,718	865,718
მთლიანი სრული შემოსავალი		-	865,718	865,718
დივიდენდის გაცემა	8		(244,241)	(244,241)
ოპერაციები მფლობელებთან		-	(244,241)	(244,241)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		200	7,264,747	7,264,947

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს:

დირექტორი
მერაბი ვასაძე

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცენტერაძე

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-30 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ვასაძის პური“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შენ.	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	200	5,495,951	5,496,151
წლის მოგება	-	1,578,919	1,578,919
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,578,919	1,578,919
გაცემული დივიდენდი	8	(431,600)	(431,600)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(431,600)	(431,600)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	200	6,643,270	6,643,470
წლის მოგება	-	865,718	865,718
მთლიანი სრული შემოსავალი	-	865,718	865,718
დივიდენდის გაცემა	8	(244,241)	(244,241)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(244,241)	(244,241)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	7,264,747	7,264,947

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს:

დირექტორი
მერაბი ვასაძე

მ. ვასაძე

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცენტერაძე

ე. ცენტერაძე

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-30 გვერდებზე წარმოდგენილ
ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ვასაძის პური“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის,

(ქართულ ლარში)

	2024	2023
მიღებული ფულადი სახსრები მომხმარებლებისაგან	29,692,419	29,811,997
სხვა მიღებული ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	79,684	106,073
სულ შემოსული თანხა	29,712,103	29,858,070
გაცემული შრომის ანაზღაურება	(6,402,725)	(5,453,584)
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(18,272,576)	(23,046,344)
გადახდილი გადასახადები	(4,060,170)	(4,058,715)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(143,933)	(165,488)
სულ გაცემული თანხა	(28,879,404)	(32,724,131)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში	892,699	(2,806,061)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(3,884,047)	(32,153)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(3,884,047)	(32,153)
სესხები ფიზიკური და იურიდიული პირებიდან	34,159,260	32,297,481
სესხების ფაფარვა	(29,604,068)	(27,235,272)
გადახდილი პროცენტები	(1,558,737)	(1,069,407)
გადახდილი დივიდენდები	(230,000)	(410,000)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	2,766,455	3,582,802
ფულადი სახსრების გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი	(135,660)	(23,100)
წმინდა ფულადი სახსრები არასაოპერაციო საქმიანობიდან	(135,660)	(23,100)
წმინდა კლება/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(360,553)	721,488
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,008,997	287,509
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	648,444	1,008,997

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მერაბი ვასაძე

ეკატერინე ცენტერაძე


კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-30 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ვასაძის პური“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის,
(ქართულ ლარში)

	2024	2023
მიღებული ფულადი სახსრები მომხმარებლებისაგან	29,692,419	29,811,997
სხვა მიღებული ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	79,684	106,073
სულ შემოსული თანხა	29,712,103	29,858,070
გაცემული შრომის ანაზღაურება	(6,402,725)	(5,453,584)
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(18,272,576)	(23,046,344)
გადახდილი გადასახადები	(4,060,170)	(4,058,715)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(143,933)	(165,488)
სულ გაცემული თანხა	(28,879,404)	(32,724,131)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში	892,699	(2,806,061)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(3,884,047)	(32,153)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(3,884,047)	(32,153)
სესხები ფიზიკური და იურიდიული პირებიდან	34,159,260	32,297,481
სესხების ფაფარვა	(29,604,068)	(27,235,272)
გადახდილი პროცენტები	(1,558,737)	(1,069,407)
გადახდილი დივიდენდები	(230,000)	(410,000)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	2,766,455	3,582,802
ფულადი სახსრების გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი	(135,660)	(23,100)
წმინდა ფულადი სახსრები არასაოპერაციო საქმიანობიდან	(135,660)	(23,100)
წმინდა კლება/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(360,553)	721,488
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,008,997	287,509
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	648,444	1,008,997

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს:

დირექტორი
მერაბი ვასაძე



მთავარი ბუღალტერი
კატერინე ცენტერაძე



კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-30 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს „ვასაძის პური“ (შემდგომში „ჯგუფი“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს „ვასაძის პური“ დაარსდა 2006 წლის 27 ივლისს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი საიდენტიფიკაციო კოდით 237077961. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის წარმოება, ორცხოვნილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება, ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება, ვაჭრობა ფქვილით და სხვა ნედლეულით. 2011 წელს განახორციელეს საპილოტე პროექტი საკონდიტრო წარმოებისთვის და შეიქმნა შპს „ვასაძის პურის“ ახალი ბრენდი საკონდიტრო „სანდომი“.

შპს „ვასაძის პური“-ს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა საკონდიტრო ქარხანა სოფელ ფონიჭალაში და ოზურგეთის რაიონ სოფელ მაკვანეთში.

ჯგუფის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. # 1.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიის მფლობელები არიან:

- მერაბი ვასაძე (პ/ნ 33001005109) 92%
- მერაბი ვასაძე (პ/ნ 33001073636) 8%

მშობელი კომპანიის გენერალური დირექტორია მერაბი ვასაძე (ს/ნ 33001005109).

2024 სანგარიშო წლის განმავლობაში, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე შეიცვალა მშობელი კომპანიის მეწილე. ნაცვლად ბიძინა ვასაძისა (პ/ნ 33001010773), კომპანიის 8% მფლობელი გახდა მერაბი ვასაძე (პ/ნ 33001073636).

2024 წლის 31 დეკემბრის და ამ ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის მშობელი კომპანია ფლობს შვილობილ კომპანიას:

კომპანიის დასახელება	პროცენტული მონაწილეობა	კონტროლის მიღების თარიღი
შპს „გიორგი-გიო 2000“ (ს/ნ 216452942)	100%	22.08.2016

შვილობილი კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ქალაქ რუსთავში არსებული ნაგებობის გაქირავება.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით -ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ჯგუფის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

**2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)**

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	შვეიცარული ფრანკი	გირვანქა სტერლინგი	რუსული რუბლი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753	3.2085	3.4228	0.02992
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306	3.1118	3.5349	0.02541

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება ჯგუფის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; ჯგუფი მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

**2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)**

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა ჯგუფის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს. აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

**2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)**

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება ჯგუფის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც ჯგუფის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5-20
- მანქანა-დანადგარები 2-20
- ოფისის აღჭურვილობა 2-15
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 3-15
- სატრანსპორტო საშუალებები 10-20
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15

**2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)**

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ჯგუფი ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, ჯგუფი აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

**2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)**

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ჯგუფი ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია ჯგუფის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - ჯგუფი ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში.

ჯგუფის საოპერაციო შემოსავლები

ჯგუფი საოპერაციო შემოსავლებს იღებს პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის, ორცხოზილებისა და მშრალი ნამცხვრების, ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოებიდან, ასევე ფქვილით და სხვა ნედლეულით ვაჭრობიდან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

**2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)**

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, ჯგუფს მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) გაუფასურების ზარალი

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე ჯგუფი რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე ჯგუფის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

*2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)*

4. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთ. შენებ ლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილ.	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრან. საშუალ ებები	იჯარით აღებული ქონების კეთილ მოწყობა	სულ
ნაშთი 01/01/2023-სთვის	566,989	-	2,441,928	8,484,615	143,576	549,365	961,206	57,033	13,204,712
შეძენა	25,500	71,003	-	5,825,410	1,900	110,393	490,564	-	6,524,770
ჩამოწერა	-	-	-	(33,572)	(1,027)	(415)	(153,191)	-	(188,205)
ნაშთი 31/12/2023-სთვის	592,489	71,003	2,441,928	14,276,453	144,449	659,343	1,298,579	57,033	19,541,277
შეძენა	-	969,538	-	5,254,019	12,942	63,050	221,060	-	6,520,609
ჩამოწერა	-	-	-	-	(18,731)	(224,065)	(47,209)	-	(290,005)
ნაშთი 31/12/2024-სთვის	592,489	1,040,541	2,441,928	19,530,472	138,660	498,328	1,472,430	57,033	25,771,881
დაგროვილი ცვეთა									
01/01/2023-სთვის	-	-	(765,395)	(2,802,937)	(104,205)	(377,444)	(372,060)	(31,447)	(4,453,488)
წლის ცვეთის დარიცხვა	-	-	(97,136)	(525,387)	(14,484)	(263,484)	(153,916)	(3,802)	(1,058,209)
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	33,572	1,275	653	153,191	-	188,691
31/12/2023-სთვის	-	-	(862,531)	(3,294,752)	(117,414)	(640,275)	(372,785)	(35,249)	(5,323,006)
წლის ცვეთის დარიცხვა	-	-	(85,058)	(711,624)	(2,532)	(38,979)	(85,030)	(2,350)	(925,573)
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	-	16,035	193,073	33,888	-	242,996
31/12/2024-სთვის	-	-	(947,589)	(4,006,376)	(103,911)	(486,181)	(423,927)	(37,599)	(6,005,583)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2023 წლის 31 დეკემბერი	592,489	71,003	1,579,397	10,981,701	27,035	19,068	925,794	21,784	14,218,271
2024 წლის 31 დეკემბერი	592,489	1,040,541	1,494,339	15,524,096	34,749	12,147	1,048,503	19,434	19,766,298

ჯგუფის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს.

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31/12/2024	31/12/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	136,185	256,590
ეროვნულ ვალუტა რეზიდენტ ბანკში	507,021	94,634
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,238	657,773
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	648,444	1,008,997

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8,902,727	6,474,271
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5,340	5,340
სულ ფინანსური აქტივები	8,908,067	6,479,611
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	131,853	1,199,130
სულ არაფინანსური აქტივები	131,853	1,199,130
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9,039,920	7,678,741

7. მარაგები

	31/12/2024	31/12/2023
საქონელი	14,174	12,946
ნედლეული და მასალები	1,293,251	1,061,321
სპეც ინვენტარი	4,909	1,345
მარაგები ძირითადი საშუალებების შესაქმნელად	-	184,992
სხვა მარაგები	666,145	276,265
სულ მარაგები	1,978,479	1,536,869

მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 13,045,632 ლარს (2023: 12,260,138 ლარი).

ჯგუფის ვალდებულებები უზრუნველყოფილია მარაგებით.

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

8. კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი შედგება ორი ნაწილისგან: საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება. საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 200 ლარს, 2024 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა. კაპიტალის შემადგენელ მეორე ნაწილს წარმოადგენს გაუნაწილებელი მოგება. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 6,643,270 ლარს. 2024 წლის შედეგების შესაბამისად განიცადა ცვლილება და გაუნაწილებელმა მოგებამ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 7,264,747 ლარი. ჯგუფის წლის მოგება შეადგენს 865,718 ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ჯამური კაპიტალი შეადგენს 7,264,747 ლარს.

2024 საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფმა დამფუძნებლებზე გასცა შემდეგი ოდენობის დივიდენდი:

წლის მფლობელი	2024 წელი
მერაბი ვასაძე (პ/ნ 33001005109)	224,702
ბიძინა ვასაძე (პ/ნ 33001010773)	19,539
სულ გაცემული დივიდენდები	244,241

2023 წლის საანგარიშო პერიოდში ჯგუფმა გასცა 431,600 ლარის ოდენობის დივიდენდი.

9. სესხები

	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2024	31/12/2023
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	(2,490,291)	(3,469,998)	(16,291,896)	(11,873,554)
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	-	-
დაკავშირებული მხარეებისგან	-	-	(740,060)	-
	(2,490,291)	(3,469,998)	(17,031,956)	(11,873,554)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აღბული აქვს ერთი გრძელვადიანი უზრუნველყოფილი საბანკო სესხი, რომელთა დაფარვის ვადა არის 2032 წელი. ამ სესხებთან დაკავშირებული საშუალო საპროცენტო შეადგენს 9.5%-ს.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აღბული აქვს ერთი გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან, რომლის დაფარვის ვადა არის 2029 წელი. ამ სესხთან დაკავშირებული საშუალო საპროცენტო შეადგენს 11.7%-ს.

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

	მოკლევადიანი სესხები	გრძელვადიანი სესხები	სულ
31/12/2023	3,469,998	11,873,554	15,343,552
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>	-	-	-
სესხის აღება	10,255,790	23,903,530	34,159,320
სესხის დაფარვა	(12,609,170)	(16,994,897)	(29,604,068)
სესხის დაბრუნება	-	-	-
გადახდილი პროცენტი	1,434,410	-	1,434,410
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>	-	-	-
გადატანა	1,750,231	(1,750,231)	-
დარიცხული პროცენტი	(1,434,410)	-	(1,434,410)
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(376,558)	-	(376,557)
31/12/2024	2,490,291	17,031,956	19,522,247

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,287,517)	(1,411,663)
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	(654,442)	(546,112)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,941,959)	(1,957,775)
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(3,941,959)	(1,957,775)

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.

11. საგადასახადო ვალდებულება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წმინდა საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 663,548 ლარს, სადაც საგადასახადო ვალდებულების ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 471,283 ლარს, რომლის ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებას.

12. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	37,622,805	33,690,279
შემოსავალი ექსპორტიდან	478,008	-
შემოსავალი იჯარიდან	50,847	50,847
სულ	38,151,660	33,741,126

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

ჯგუფი საოპერაციო შემოსავლებს იღებს პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის, ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრების, ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოებიდან, ფქვილით და სხვა ნედლეულით ვაჭრობიდან. ასევე შენობის გაქირავებიდან.

13. თვითღირებულება

	2024	2023
პროდუქციის თვითღირებულება	12,652,983	12,010,942
შრომის ანაზღაურება	4,829,824	4,048,715
კომუნალური ხარჯი	910,426	832,409
სამეურნეო საქონლის თვითღირებულება	392,649	153,838
სხვა თვითღირებულების ხარჯი	-	95,358
სულ თვითღირებულება	18,785,882	17,141,263

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2024	2023
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი	10,594,615	7,500,352
შრომის ანაზღაურება	494,967	548,060
ცვეთა და ამორტიზაცია	925,573	958,753
საგადასახადო ხარჯი	168,247	132,172
დაზღვევის ხარჯი	50,618	48,254
საიჯარო ხარჯი	104,784	107,034
მივლინების ხარჯი	94,154	89,801
იურიდიულ-საკონსულტაციო ხარჯი	47,339	32,024
სამეურნეო ხარჯი	42,240	41,385
პროგრამული და IT მომსახურება	37,270	26,639
წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯი	36,549	35,425
რემონტის ხარჯი	33,325	96,290
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	18,909	17,464
საკანცელარიო ხარჯი	18,788	19,915
ტრანსპორტის ხარჯი	9,157	15,146
დეზინფექციის ხარჯი	7,603	9,203
კომუნიკაციის ხარჯი	6,897	8,464
დაცვის ხარჯი	4,771	4,068
კომუნალური ხარჯი	3,509	10,577
ლაბორატორიული და სურსათის უსაფრთხოების ხარჯი	3,331	686
სხვა ხარჯი	308,390	335,872
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13,011,036	10,037,584

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

15. მიწოდების ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	3,038,868	2,407,093
საწვავის ხარჯი	974,125	842,717
სხვა ხარჯი	264,040	121,940
სულ	4,277,033	3,371,750

16. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი მოიცავს მიღებული სესხების პროცენტის ხარჯს. 2024 წლის განმავლობაში ფინანსური ხარჯი შეადგენს 1,562,494 ლარს, ხოლო 2023 საანგარიშო წლის განმავლობაში შეადგენს 1,069,407 ლარს.

17. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2024	2023
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	1,680,534	972,953
ხარჯი საკურსო სხვაობიდან	(1,366,148)	(1,388,273)
სულ მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	314,386	(415,320)

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

2024 და 2023 წლის განმავლობაში ჯგუფს ჰქონდა შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023
შპს სანდომი 2020	211,723	246,182
შპს მე-ვა	6,325	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	218,048	246,182

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2024	2023
შპს სანდომი 2020	608	608
შპს მოდერნი 2016	200	846
შპს მე-ვა	4,823	4,823
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,631	6,277

მიღებული სესხი	2024	2023
დამფუძნებელი	740,060	-
სულ მიღებული სესხი	740,060	-

19. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შემდგომ საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

კაპიტალის მართვას აწარმოებენ ჯგუფის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების შესაბამისად იმ იურისდიქციებში, სადაც ჯგუფი ოპერირებს.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

კაპიტალის რისკის მართვა	31/12/2024	31/12/2023
სულ კაპიტალი	7,264,947	6,643,470
ნაღდი ფული და ფული ბანკში	648,444	1,008,997
კაპიტალი	7,913,391	7,652,467
სულ კაპიტალი	7,264,947	6,643,470
სესხები	19,522,247	15,343,552
სრული ფინანსირება	26,787,194	21,987,022
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.30	0.35

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით და ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

21. გადაანგარიშების ეფექტი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

31.12.2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში	421,280	(421,280)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,644,552	34,189	7,678,741
მარაგები	1,536,102	767	1,536,869
გაუნაწილებელი მოგება	6,954,811	(311,541)	6,643,270
გრძელვადიანი სესხები	15,343,552	(3,469,998)	11,873,554
მოკლევადიანი სესხები	-	3,469,998	3,469,998
გადასახდელი პროცენტი	111,988	(111,988)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,927,343	30,432	1,957,775
საგადასახადო ვალდებულებები	464,508	6,775	471,283
	34,404,136	(772,646)	33,631,490

01.01.2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში	421,280	(421,280)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,514,819	14,393	6,529,212
მარაგები	1,438,742	5,219	1,443,961
გაუნაწილებელი მოგება	5,800,306	(304,355)	5,495,951
გრძელვადიანი სესხები	9,812,240	(1,058,899)	8,753,341
მოკლევადიანი სესხები	110,000	1,058,899	1,168,899
გადასახდელი პროცენტი	111,988	(111,988)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,155,094	15,248	1,170,342
საგადასახადო ვალდებულებები	403,274	(593)	402,681
	25,767,743	(803,356)	24,964,387

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ამონაგები	33,783,962	(42,836)	33,741,126
თვითღირებულება	(12,914,044)	(4,227,219)	(17,141,263)
სულ	20,869,918	(4,270,055)	16,599,863

2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(8,919,693)	(1,117,891)	(10,037,584)
მიწოდების დანახარჯები	(8,709,760)	5,338,010	(3,371,750)
სულ	(17,629,453)	4,220,119	(13,409,334)

2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ფინანსური შემოსავალი	115,110	(32,666)	82,444
ფინანსური ხარჯი	(1,278,024)	208,617	(1,069,407)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) წმინდა	(415,322)	415,322	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	75,005	75,005
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობ.	-	(415,320)	(415,320)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	(208,171)	(208,171)
სულ	(1,578,236)	42,787	(1,535,449)

2023	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
მოგების გადასახადი ხარჯი	-	(76,161)	(76,161)
სულ	-	(76,161)	(76,161)

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ჯგუფის მიერ მესაკუთრეებზე, სექტემბრის თვეში გაცემულია ჯამურად 210,526 ლარის დივიდენდი. დასკვნის გამოშვების დროისათვის ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 31 დეკემბრის 2024 წლის ბოლოსთვის დამტკიცდა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 22 ოქტომბერს:

საქართველო
შპს "ვასაძის პური"
ს.კ. 237077961
ტელ.: (+995 599) 72 82 08
ქ. თბილისი,
სოფ. ფონიჭალა, ცოდნა დადინის I შესახვევი
ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №1



GEORGIA.LTD "VASADZIS PURI"
I.C. 237077961
Tel.: (+995 599) 72 82 08
Tsotne Dadiani I Turn, v-ge Ponichala, Tbilisi
Gabriel Episoposi str. №1, Ozurgeti

შპს "ვასაძის პური"

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2024 წელი

შპს "ვასაძის პური"

ს/კ: 237077961

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2006 წლის ივლისში.

იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. # 1.

დირექტორი: მერაბ ვასაძე

შინაარსი

- 1) თავი I - საზოგადოების მართვა, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.
- 2) თავი II - კომპანიის განვითარების გეგმები.
- 3) თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
- 4) თავი IV - ინფორმაცია ფილიალების შესახებ
- 5) თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
- 6) თავი VI - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

1. საზოგადოების მართვა, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შ.პ.ს. „ვასადის პური“ არის კომპანია, რომელიც 2001 წლიდან ოზურგეთში ახორციელებს პურ-ფუნთუშეულის წარმოებას. მაღალი ხარისხის და კარგი გემოვნური თვისებების გამო კომპანიის პროდუქციამ სწრაფად მოიპოვა ნდობა და აღიარება ჯერ ადგილობრივ მომხმარებელთა შორის, ხოლო შემდგომ მიმდებარე რეგიონების მოსახლეობაში. ადგილობრივ ბაზარზე მოპოვებულმა წარმატებამ კომპანიას მისცასა შუალება და სტიმული, რომ გაეფართოებინა წარმოება და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა. 2011 წელს კომპანიამ განახორციელა პროექტი საკონდიტრო წარმოებისთვის და შეიქმნა კომპანიის ახალი ბრენდი საკონდიტრო „სანდომი“. სოფელ მაკვანეთში ამოქმედდა მცირე მასშტაბის საკონდიტრო საწარმო, რომლის პროდუქციამაც მალე დაიმსახურა მომხმარებელთა კეთილ განწყობა.

კომპანიას წარმატებული საქმიანობით წლებია წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში. ინოვაციურმა ხედვამ, სიახლის ძიებამ, სწორმა ეკონომიკურმა გათვლებმა და რაც მთავარია კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ, როგორც საქმისადმი, ასევე მომხმარებლისადმი, კომპანია „სანდომი“ მალე აქცია ბრენდად, რომელსაც ენდობიან საწარმოში დასაქმებულია 300ზე მეტი ადამიანი და ეს ციფრი კომპანიის გაფართოებასთან ერთად კიდევ აგრძელებს ზრდას.

2013 წლიდან კომპანიის საქმიანობაში ახალი გამოწვევები გაჩნდა. სექტემბერში გაიხსნა გაცილებით დიდი და მასშტაბური საკონდიტრო საწარმო თბილისში, რომლის პროდუქციამაც მალე დაიმკვიდრა ადგილი დედაქალაქში და აღმოსავლეთ საქართველოს ბაზრებზე.

შპს „გიორგი გიო“-ს (ს/კ:16452942) 100% მფლობელი არის შპს „ვასადის პური“ 2016 წლის 22 აგვისტოდან. შვილობილი კომპანიის საოპერაციო საქმიანობა არის შენობის იჯარით გაქირავება.

„სანდომი“ არის თანამედროვე, სწრაფად მზარდი, დინამიური, ინოვაციური ბრენდი, რომელიც დღეისათვის 100-ზე მეტი დასახელების მაღალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებს.

„სანდომი“-ს საწარმო დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, პროფესიონალთა გუნდი უცხოელ კოლეგებთან ერთად მუდმივად მუშაობს პროდუქციის დახვეწაზე და განახლებაზე. საწარმოში პერიოდულად მოწვეულნი არიან უცხოელი ტექნოლოგები. თანამშრომლები გადიან ინტენსიურ ტრენინგებს უცხოელ სპეციალისტებთან ერთად.

კომპანია უკვე ISO:22000-2005 სტანდარტის მფლობელია, რაც იმის დასტურია, რომ სანდომი აწარმოებს უმაღლესი ხარისხის, ქართულ პროდუქტს. რომელიც ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით მზადდება. სანდომისთვის ეს დიდი პასუხისმგებლობასა და პატივთან ასოცირდება. აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენი პროდუქტი ნამდვილად კონკურენტუნარიანია და დაარსებიდან დღემდე ამართლებს თავის სახელს.

საკონდიტრო კომპანია სანდომი 2020 წელს კიდევ ერთი ჯილდოს "ოქროს ბრენდის" მფლობელი გახდა, კომპანია "Global idea"-ს მიერ.

კომპანია ასევე რამოდენიმე წელია სატელევიზიო წარმატებული გასართობი პროექტების სპონსორი გახლავთ.

ნედლეულის და მასალების შეძენა ხდება, როგორც ქვეყნის შიდა ბაზარზე, ასევე ხდება მასალის იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან,

2024 წელს დაიწყო მაკვანეთის ქარხნი გაფართოება , რაც თავისთავად მოიაზრებს მუშახელის გაზრდას, შევიდინეთ დანადგარები, დავიწყეთ ახალი პროდუქციის სხვადასხვა სახეობის წარმოება გამოშვება, არსებული პროდუქციის ახალ შეფუვაზე ზრუნვა, რაც კომპანიის წარმატებაზე იმოქმედებს .

ასევე დავიწყეთ პროდუქციის ექსპორტზე გატანა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ისრაელში , ვგეგმავთ სამომავლოდ საერთაშორისო გამოფენებზე წარმოვაჩინოთ ჩვენი პროდუქცია და გავიტანოთ ექსპორტზე ბევრ ქვეყანაში.

2. კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია - საკონდიტრო პროდუქცია და ტკბილეული გამოირჩევა ხარისხით და კონკურენტუნარიანი ფასით. ამ პროდუქციას შეუძლია ჩაანაცვლოს იმპორტი.რომ ეტაპობრივად ჩავანაცვლოთ იმპორტირებული პროდუქცია ადგილობრივად წარმოებული მაღალი ხარისხის და დაბალი ღირებულების სპროდუქტით. „ვასაძის პური“-ის კერძოდ კი „სანდომის“ ბრენდის ქვეშ წარმოებული პროდუქცია დაკავშირებულია ნაკლებ დანახარჯებთან, რაც ქმნის შეთავაზებას და გარემოს რომელიც იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას გარდაუვალს ხდის.

2022 წელს გაიზარდა ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი, შეიცვალა და გაუმჯობესდა ხარისხი, ასევე სამომავლოდ იგეგმება და უკვე მოლაპარაკების პროცესში ვართ ვაფლის ხაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, დაგეგმილია ახალი დანადგარების მთელი კომპლექტის შეძენა რაც მოიტანს ხარისხიან პროდუქციას და დამატებით შემოსავალს.

კომპანია აკმაყოფილებს საერთაშორისო ISO 22000: 2005 სტანდარტის მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება HACCP-ის პრინციპებს. იგი მუდმივად აკონტროლებს წარმოების მთლიან ჯაჭვს - ნედლეულის მიღებას და შენახვას, წარმოების პროცესს, მზა პროდუქციის შენახვას და მის განაწილებას მომხმარებელზე.

შპს ვასაძის პურის კონკურენტულ უპირატესობებს წარმოადგენს:

- ❖ მაღალი ხარისხის პროდუქცია;
- ❖ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე, საჭიროებებსა და ტენდენციებზე ადაპტირების უნარი;
- ❖ მრავალფეროვანი ასორტიმენტი;
- ❖ ხელმისაწვდომი ფასები

3. განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია მუდმივად აწარმოებს ბაზარზე არსებული კონკურენტებისა და ფასების შესწავლას. კონკურენციის ამაღლების მიზნით იგი ახორციელებს სარეკლამო კამპანიებსაც, მაგ: სარეკლამო სტენდის დაქირავება, რეკლამის განთავსება რადიო მაუწყებლობაში. ამ მიზნებით გაწეული რესურსები მთლიანად უკავშირდება კომპანიის შიდა ძალებს და არა გარე ოფიციალურ კვლევას.

4. ინფორმაცია ფილიალების შესახებ.

შპს „ვასაძის პურს“ გააჩნია დაფუძნებული შვილობილი კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე , შპს გიორგი-გიო, რომლის საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარით გაცემა. სხვა შვილობილი კომპანიები არ გააჩნია არც საქართველოს ტერიტორიაზე და არც საზღვარგარეთ.

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის რეალიზაციის ბრუნვა გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 4,41 მილიონი ლარით, რაც განპირობებულია საკუთარი გაყიდვების ქსელში ახალი კატეგორიის პროდუქციის დამატებით და მომხმარებელთათვის მათი ბიუჯეტურ საფასო სეგმენტში წარმოდგენით. 2023 წლის ბოლოს დარჩენილ გასაყიდი საქონლის თვითღირებულების ნაშთთან შედარებით, პროდუქციის ასორტიმენტის ზრდის პარალელურად, 2024 წლის ფინანსური მოცემულობით მარაგის ნაშთი გაიზარდა 442 ათასი ლარით (22%-ით). ეს ცხადყოფს კომპანიის უნარს, დაარეგულიროს და სამომავლოდ კიდევ უფრო გაზარდოს საბრუნავი აქტივების მოცულობა, ხოლო, არსებული რესურსით, სარეალიზაციო მარაგზე გონივრულად დადგენილი ფასნამატიტ, მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით, გააუმჯობესოს მისაღები საოპერაციო მოგების ფაქტობრივი ფინანსური შედეგი. შესაბამისად, ბოლო ორი

შესადარისი საანგარიშო წლის მანძილზე, გრძელვადიან პერსპექტივაში, აშკარად შენარჩუნებულია კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან გეგმიურად მისაღები ფინანსური შედეგების სტაბილური სურათი.

კომპანია აქტიურად განაგრძობს მსხვილ კლიენტებთან თანამშრომლობას და სთავაზობს მათ მოკლევადიან, სტანდარტულად 10 დღიან პერიოდში პროდუქციის კონსიგნაციის პირობით მიწოდებას. 2023 წელთან შედარებით 2024 წლის სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი გაიზარდა 2.4 მილიონი ლარით. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, კონტრაგენტებთან საკონსიგნაციო შეთანხმების პირობებზე დაყრდნობით, დებიტორულ დავალიანებებთან მიმართებაში მდგომარეობა გასულ წელთან შედარებით არსებითად არ შეცვლილა.

ვალდებულების კომპონენტს თუ დავაკვირდებით, ჯამურმა ზრდამ შეადგინა 1,87 მილიონი ლარი. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია მიზანმიმართულად უზრუნველყოფს გადახდის უუნარობის რისკის პრევენციას. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, აღნიშნულთან დაკავშირებით წინასწარ გაწერილი სამოქმედო გეგმა მისაღებ შედეგს იძლევა.

კოეფიციენტი	2024	2023	კომენტარი
მიმდინარე კოეფიციენტი	1.64	1.73	
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	11.51	10.69	ბრუნვის კოეფიციენტის 0.82-იანი ზრდა წლის განმავლობაში მიუთითებს კომპანიის ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე და მარაგების უფრო სწრაფად რეალიზაციის უნარზე, რაც დადებითად აისახება როგორც ლიკვიდობის დონეზე, ასევე ფინანსურ შედეგებზე.
უკუგება აქტივებზე	3%	8%	ძირითადი საშუალებების რადიკალურმა ზრდამ, გამოიწვია შემცირება აქტივების უკუგებაზე.
აქტივების ბრუნვალობის სიჩქარე	1.35	1.62	ბრუნვის კოეფიციენტის შემცირება გამოწვეული ძირითადი საშუალებების შესყიდვით.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები:

მოთხოვნა კომპანიის პროდუქციაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობაზე, რაც თავის მხრივ, აისახება კომპანიის გაყიდვების მოცულობაზეც. კომპანია ოპერირებს მხოლოდ ქართულ ბაზარზე, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთი რისკების წარმოქმნასთან, რომლებიც ნაკლებად მოსალოდნელია განვითარებულ ბაზარზე, მაგ: ქართული ლარი არ არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რაც წარმოქმნის ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის (სავალუტო) რისკებს. კომპანია ახორციელებს ნედლეულისა და ძირითადი საშუალებების იმპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომ, ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული პროცესები მის ფულად ნაკადებზე უარყოფითად აისახება. ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ნედლეულის ღირებულების ზრდასაც, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, ხოლო ბაზარზე არსებული კრიზისული პერიოდის პირობებში, როდესაც მყიდველთა გადახდის უნარიანობა შემცირებულია, მოთხოვნა გაძვირებულ პროდუქციაზე შემცირდება. სხვა შემთხვევაში, სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების მიზნით, კომპანიას მოუწევს მოგების მარჟის შემცირება, რაც, ასევე, უარყოფითად აისახება მასზე.

რისკის უმთავრესი სახეები:

- ❖ საბაზრო რისკი,
- ❖ საკრედიტო რისკი
- ❖ ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024წ	31 დეკემბერი 2023წ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	648,444	1,008,997
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8,908,067	6,479,611
სულ ფინანსური აქტივები	9,556,511	7,488,608
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	19,522,247	15,343,552
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,941,959	1,957,775
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,464,206	17,301,327

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკი (ბ) სავალუტო რისკი, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	648,444	-	-	648,444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,908,067	-	-	8,908,067
აქტივები	9,556,511	-	-	9,556,511
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,941,959)	-	-	(3,941,959)
მიღებული სესხები	(2,490,291)	(17,031,956)	-	(19,522,247)
ვალდებულებები	(6,432,250)	(17,031,956)		(23,464,206)
ლიკვიდურობის პოზიცია	3,124,261	(17,031,956)		(13,907,695)

მოცემული ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

დირექტორი ----- მ. ვასაძე

22 ოქტომბერი 2025
თბილისი, საქართველო

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	648,444	-	-	648,444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,908,067	-	-	8,908,067
აქტივები	9,556,511	-	-	9,556,511
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,941,959)	-	-	(3,941,959)
მიღებული სესხები	(2,490,291)	(17,031,956)	-	(19,522,247)
ვალდებულებები	(6,432,250)	(17,031,956)	-	(23,464,206)
ლიკვიდურობის პოზიცია	3,124,261	(17,031,956)	-	(13,907,695)

მოცემული ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

დირექტორი



22 ოქტომბერი 2025
თბილისი, საქართველო